



Food and Agriculture
Organization of the
United Nations



General Fisheries
Commission for
the Mediterranean
BlackSea4Fish

შავ ზღვაში ზუთხების უსაფრთხო მოპყრობა და გაშვება



Supported by





▶ მოცემული პრაქტიკული სახელმძღვანელო განკუთვნილია შავ ზღვაში თევზჭერით დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის სარენაო მეთევზეობისა და თევზჭერის დამკვირვებლებისთვის (ე.წ. „ობზერვერებისთვის“), რათა სწორად მოხდეს შავ ზღვაში ზუთხის სამი სახეობის სწორი იდენტიფიცირება, თევზჭერის პროცესში მათი უსაფრთხოდ გაშვების მეთოდების გამოყენება და მათი სიცოცხლისუნარიანობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების სისტემატიური შეგროვება.

პრაქტიკული სახელმძღვანელო შემუშავდა „შავი ზღვის თევზჭერისა და ეკოსისტემაზე დაფუძნებული მართვის“ (FishEBM BS) პროექტის ფარგლებში, მისი მიზანია შავი ზღვის ქვეყნების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობით, ეკოსისტემაზე დაფუძნებული მართვის სახელმძღვანელოს გამოყენებით თევზჭერის სწორი მართვა, რომლის დროსაც გათვალისწინებულია სამიზნე სარენაო სახეობების გადაჭარბებული თევზჭერის შეჩერება და მოწყვლადი სახეობების დაცვა.

ზუთხი არის ხშირი თანჭერილი, რომელსაც მოიპოვებენ შავ ზღვაში სხვადასხვა ტიპის თევზჭერისას. ასეთმა შემთხვევითმა თანჭერილმა შეიძლება გამოიწვიოს ბადე-იარაღების დაზიანება, სამუშაო პროცესის შეფერხება და მაღალი სიკვდილიანობა, განსაკუთრებით ინდივიდების არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. არასათანადო მართვის ან აღრიცხვის პირობებში, თანჭერამ შეიძლება გამოიწვიოს პოპულაციის შემცირება და შეაფერხოს რეგიონული თევზჭერის მდგრადობა.

ეფექტიანი მართვისა და თევზჭერის მდგრადი მეთოდების ხელშეწყობისთვის აუცილებელია ზუსტი მონაცემების შეგროვება და უსაფრთხო მოპყრობის მეთოდების გამოყენება. მოცემული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ზუთხისებრთა ურთიერთობისა და მეთევზეების ცნობიერების ამაღლებას, და ასევე, შავი ზღვის რეგიონში მათი პოპულაციის შენარჩუნების ხელშეწყობას. საუკეთესო პრაქტიკის დანერგვითა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ზუსტი აღრიცხვით, მეთევზეები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ არა მხოლოდ სახეობების დაცვაში, არამედ მეთევზეობის სექტორისა და მეთევზეთა გაერთიანებების გრძელვადიან მდგრად განვითარებაში.

ილენტიფიკაცია

შავ ზღვაში გვხვდება ზუთხის სამი ძირითადი სახეობა: **ტარალანა (*Acipenser stellatus*)**, **რუსული ზუთხი (*Acipenser gueldenstaedtii*)** და **სვია (*Huso huso*)**. ისინი განსხვავდება შემდეგი ძირითადი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით.

ტარალანა (*Acipenser stellatus*)



სიგრძე 1,2 მ-მდე




წონა 30 კგ-მდე



27-დან 38-მდე ქიცვი გვერდებზე

ულვაშები პირთან უფრო ახლოს

ვინრო და წაგრძელებული ცხვირი




პირი არ გრძელდება თავის კიდემდე

რუსული ზუთი (*Acipenser gueldenstaedtii*)

სიგრძე 2 მ-მდე



წონა 50 კგ-მდე



ულვაშები უფრო ახლოს ცხვირის წვერთან, ვიდრე პირთან

უფრო მოკლე ცხვირი


25-დან 40-მდე ქიცვი გვერდებზე

სვია (*Huso huso*)

სიგრძე 2,8 მ-მდე



წონა 300 კგ-მდე



თავის კიდემდე გაშლილი პირი

ფოთლისმაგვარი ულვაშები პირთან ახლოს

40-დან 50-მდე ქიცვი გვერდებზე

უსაფრთხო მოპყრობა


სტრესისა და დაზიანების შესამცირებლად, **ზუთხი დაიჭირეთ ჰორიზონტალურად**, ორივე ხელით.



გქონდეთ **სველი ხელები ან გამოიყენეთ ხელთათმანები**, რადგან მშრალ ზედაპირებთან კონტაქტმა შეიძლება დააზიანოს მათი დამცავი ლორწო. არ აიყვანოთ ისინი კუდით, ლაყუჩებით ან პირით.



დიდი ზომის ინდივიდის შემთხვევაში, უმჯობესია **ნავზე მიიბმა, ვიდრე მისი ნავზე გადატანა/ განთავსება**.



დავაზიანებალი ქვედაბები, როგლებიც თაჰიდან ასარიდაბელია

არ გადაათრიოთ
თევი მშრალ
ზედაჰირებზე.




არ დატოვოთ თევი
წყლის ზემოთ დიდი
ხნის განმავლობაში,
რადგან ჰაერზე
ხანგრძლივად
ყოფნამ შეიძლება
მნიშვნელოვნად
შეამციროს მისი
გადარჩენის შანსი.



არ დაკიდოთ
თევი კუდით ან
ლაყუჩებით.



არ მოაბათ
თოკი ზუთხს
ლაყუჩებში.



გაშვების ეტაპობრივი პროცედურა

გაშვებამდე,
შეავსეთ
მონაცემები
მითითებების
მიხედვით.

(იხილეთ „მონაცემთა
აღრიცხვა“ და
„დამატებითი
მონაცემების
შეგროვება“)

შეაფასეთ სასიცოცხლო მდგომარეობა.

შეამოწმეთ შესამჩნევი
დაზიანებები, ჩამოყრილი
ქერცლები ან სტრესის
ნიშნები (იხილეთ
„დამატებითი მონაცემების
შეგროვება“).



1

ფრთხილად

მოეპყარით. ერთი
ხელი უნდა იყოს
მკერდის ფარფლების
უკან, ხოლო, მეორე
– კუდთან ახლოს
(იხილეთ „უსაფრთხო
მოპყრობა“).



2

საჭიროების შემთხვევაში, გაშვებამდე

გამოაცოცხლეთ. მოათავსეთ თევზი ზღვის წყლით სავსე კონტეინერში და ნელა აამოძრავეთ წინ და უკან, რათა წყალი თავისუფლად გადიოდეს ლაყუჩებში.

3



გაშვება. ფრთხილად დააბრუნეთ ზღვაში თავის მიმართულებით, გადასროლის გარეშე. მოერიდეთ ძლიერ დინებებსა და მტაცებლებს. განსაკუთრებით დიდი ზომის თევზებისთვის სასურველია ორი ადამიანის ჩართულობა – ერთმა უნდა დაიჭიროს თევზი მკერდის ფარფლების უკან, ხოლო მეორემ – კუდის დასაწყისში დაჭერით შეასრულოს დამხამრე ფუნქცია.

4



მონაცემთა აღრიცხვა

ზუთხის თანჭერილის შესახებ ინფორმაცია უნდა აღრიცხოს ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) მონაცემთა შეგროვების სარეკომენდაციო მითითებებში (DCRF), ეროვნული თევზჭერის რეგულაციებისა და GFCM-ის შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით.¹ ზუთხის თანჭერილის შესახებ მონაცემების აღრიცხვისას, საჭიროა, ზუსტად შეიყვანოთ შემდეგი ინფორმაცია ჟურნალში:



¹ Recommendation GFCM/47/2024/11 establishing measures on sturgeons (Acipenseridae) in the Black Sea (geographical subarea 29)



გემის სახეობა²



სამეცნიერო
სახელწოდება




დაჭერილი
ინდივიდების
საერთო რაოდენობა



ცოცხლად
გაშვებული
ინდივიდების
რაოდენობა



მკვდარი
ინდივიდების
რაოდენობა



დაუზუსტებელი
სტატუსის მქონე
ინდივიდების
რაოდენობა



² GFCM. 2018. GFCM Data Collection Reference Framework (DCRF). Version: 25.1

დაპატებითი მონაცემების შეგროვება

ადგილზე ყოფნისას, დამკვირვებლების ე.წ „ობზერვერების“ მიერ მნიშვნელოვანია დამატებითი ინფორმაციის შეგროვება. თითოეული თანჭერილი ზუთხის შემთხვევაში, **გთხოვთ, შეიტანოთ შემდეგი მონაცემები: სიცოცხლისუნარიანობის მდგომარეობა, ბიოლოგიური მონაცემები და იარლიყის საიდენტიფიკაციო ნომერი** (არსებობის შემთხვევაში).

შეძლებისდაგვარად **გადაიღეთ სურათები სახეობის იდენტიფიკაციის დასადასტურებლად**, დააფიქსირეთ **გვერდებზე არსებული ქიცვები** და **თავის ქვედა მხარე**, მათ შორის, **პირის ფორმა** და **ულვაშები**.



სიცოცხლისუნარიანობის მდგომარეობა


ცოცხალი

ძლიერი და/ან სუსტი
სხეულის მოძრაობები,
ლაყუჩების სახურავის
მოძრაობა, რეაგირება
შეხებაზე



მკვდარი

სხეულის ან ლაყუჩების
სახურავის მოძრაობა
არ აღინიშნება, არ
რეაგირებს შეხებაზე



დაუზუსტებელი

მდგომარეობის ზუსტი
შეფასება შეუძლებელია,
მაგალითად, როდესაც
თევზი არ მოძრაობს
და მეთევზეს/
დამკვირვებელს
უჭირს დაადასტუროს,
ცოცხალია თუ მკვდარი
(მაგ., დაკვირვების
შეზღუდული დროის,
შეზღუდული წვდომის ან
გემზე ცუდი ხილვადობის
გამო)




ბიოლოგიური მონაცემები

სხეულის ე.წ „სმიტის“ სიგრძე

თევზის სხეულის ე.წ „სმიტის“ სიგრძე სანტიმეტრებში, რომელიც იზომება ცხვირის ცენტრიდან, გვერდითი ხაზის წრფივად, კუდის განშტოების (გაყოფის) წერტილამდე. სიგრძის გაზომვისას გამოიყენება საზომი ლენტი.


სხეულის სიმაღლე

სხეულის სიმაღლე, რომელიც ყველაზე მაღალი და განიერია. იზომება საზომი ლენტის საშუალებით. გაზომვისას საზომი ლენტი უნდა იყოს გაჭიმული, ისე, რომ თევზის სხეულის ფორმა უცვლელი დარჩეს.



იარლიყის საიდენტიფიკაციო ნომერი

ზუთხის იარლიყის საიდენტიფიკაციო ნომრის ჩანერა აუცილებელია, მისი არსებობის შემთხვევაში. **გაშვებამდე, შეამოწმეთ გარეგანი იარლიყები,** განსაკუთრებით ზურგისა და მუცლის მხარეების გარშემო, სადაც იარლიყები ხშირად არის განთავსებული.



იარლიყის საიდენტიფიკაციო ნომერი ◦

„შავი ზღვის თევზჭერისა და ეკოსისტემაზე დაფუძნებული მართვის“ (FishEBM BS) პროექტის მიზანია შავი ზღვის ქვეყნების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობით, ეკოსისტემაზე დაფუძნებული მართვის სახელმძღვანელოს გამოყენებით თევზჭერის სწორი მართვა, რომლის დროსაც გათვალისწინებულია სამიზნე სარეწაო სახეობების გადაჭარბებული თევზჭერის შეჩერება და მონყვლადი სახეობების დაცვა.

დამატებითი მონაცემები და ფოტოები უნდა გაიგზავნოს შემდეგ საკონტაქტო პირთან:

თამარ ედიშერაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

(+995) 598 175 515

ამ საინფორმაციო პროდუქტში გამოყენებული დასახელებები და წარმოდგენილი მასალა არ გულისხმობს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხრიდან რაიმე აზრის გამოხატვას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის ან რაიონის, ან მათი ხელისუფლების სამართლებრივი ან განვითარების სტატუსის შესახებ, აგრეთვე მათი საზღვრების განსაზღვრასთან დაკავშირებით. კონკრეტული კომპანიების ან მწარმოებლების პროდუქტების ხსენება, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ პატენტი, არ ნიშნავს, რომ FAO უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა ანალოგიურ, მაგრამ არასხენებულ პროდუქტებთან მიმართებით. ამ საინფორმაციო პროდუქტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და აუცილებლად არ ასახავს FAO-ს შეხედულებებს ან პოლიტიკას.



Some rights reserved. This work is made available under the Creative Commons Attribution - 4.0 International licence ([CC BY 4.0](https://creativecommons.org/licenses/by/4.0/)).